KA030127826297617

№ 01-20373 **21 / სექტემბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

მინისტრის მოადგილის
ნინო ბერძულის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის მიერ მომზადებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ტექნიკური რეგლამენტის-„წყალი, სანიტარია და ჰიგიენა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში“ დამტკიცების შესახებ“. პროექტი შემუშავებულია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით და ადგენს სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისადმი.

მოგახსენებთ, რომ ტექნიკური რეგლამენტის პროექტით, ასევე, დგინდება მოთხოვნები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში წყალმომარაგების სისტემისადმი (რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და საკმარისი რაოდენობით წყლის მიწოდებას სასმელი და სამეურნეო მიზნებისათვის), სანიტარიული კვანძის ფართობის სტანდარტი 1 ბავშვზე გადაანგარიშებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი სანიტარიული კვანძის პარამეტრები.

დადგენილების პროექტი მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება საბავშვო ბაღებში“ ფარგლებში სსიპ „ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლების მიერ დარგის ექსპერტებთან თანამშრომლობით.

დადგენილების პროექტის მიღებით დადასტურებული იქნება საქართველოს ძალისხმევა ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDG) მიღწევის, აგრეთვე, უსაფრთხო და ხარისხიანი სასმელი წყლის, კარგი სანიტარიული და ჰიგიენური პირობებისადმი ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა (WHO) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი პროგრამების ფარგლებში დასახული ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებით.

მოგახსენებთ, რომ დადგენილების პროექტი წარდგენილი იყო საქართველოს მთავრობისადმი რამდენჯერმე, თუმცა, უწყებებს შორის სრული კონსენსუსის არარსებობის გამო, ვერ მოხერხდა მისი დამტკიცება. დოკუმენტი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან სამინისტროს დაუბრუნდა 2017 წლის 4 ივლისს. ამის შემდგომ კვლავ განხორციელდა დოკუმენტის გადახედვა/გადამუშავება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის ,,ტექნიკური რეგლამენტის - წყალი, სანიტარია და ჰიგიენა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში‘‘ კორექტირებულ ვერსიას.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ იურიდიულ დეპარტამენტს, უზრუნველყოს დოკუმენტის ინიცირება საქართველოს მთავრობის რეგლამენტით განსაზღვრული წესის მიხედვით.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ნინო ბერძული